საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ამერიკისმცოდნეობა/American Studies

მისანიჭებელი ხარისხი: ამერიკისმცოდნეობის ბაკალავრი/ BA in American Studies

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: რვა სემესტრი (240 ECTS კრედიტი)
პროგრამაში კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად:

- 120 ECTS კრედიტი - ძირითადი სპეციალობა
  აქედან სპეციალობის ძირითადი კურსებისათვის განკუთვნილია 70 ECTS კრედიტი
  სპეციალობის არჩევითი კურსებისათვის- 40 ECTS კრედიტი
  საბაკალავრო ნაშრომისათვის -10 ECTS კრედიტი

- 50 ECTS კრედიტი - საფაკულტეტო სავალდებულო დისციპლინები;
- 60 ECTS კრედიტი - დამატებითი სპეციალობა;
- 10 ECTS კრედიტი - ე.წ. თავისუფალი კრედიტი.

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ამერიკისმცოდნეობის** საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. **ამერიკისმცოდნეობა** პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი დარგია.
პროგრამა მხარეთმცოდნეობითია და წარმოადგენს სპეციფიკურ, დარგთაშორის სფეროს. იგი მიზნად ისახავს სფეროს მულტიდისციპლინარულობისა და დისციპლინებს შორის კავშირების შესწავლას მრავალი პერსპექტივიდან და მრავალ კონტექსტში.
სწავლების პროცესში სტუდენტი შეიძენს კონკრეტულ საბაზისო ცოდნას ამერიკისმცოდნეობის სპეციალობით, სწავლება კონცენტრირდება სამი ძირითადი კლასტერის სახით: საზოგადოება, ისტორია, და პოლიტიკა, ლიტერატურა და კულტურა, ენა და საზოგადოება, რაც გულისხმობს ისტორიის, პოლიტიკისა და დიპლომატიის, აშშ სახელმწიფო მართვის სისტემისა და უსაფრთხოების პოლიტიკის, ქართულ–ამერიკული ურთიერთობების, ამერიკული ლიტერატურის, ფილოსოფიის, კულტურის ისტორიისა და ხელოვნების, ეკონომიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორიისა და კულტურის და სხვ., ძირითადი პრობლემების დასმის, განხილვისა და გადაწყვეტის ზოგადი მეთოდების ცოდნას. სტუდენტს პროგრამის ფარგლებში მიეცემა საშუალება დაეუფლოს ინგლისურ ენას და მიაღწიოს ენის ცოდნის B 2 საფეხურს. პროგრამა მოიცავს ენის სხვადასხვა რეგისტრსა და სტილს. სტუდენტი შესძლებს ზეპირ და წერით კომუნიკაციას შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე, გაერკვევა ბრიტანული და ამერიკული ინგლისურის თავისებურებებში, აითვისებს ლექსიკის ახალ სტრატეგიებს; პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პროფესიული ენის ათვისებას; კურიკულუმის სავალდებულო და არჩევითი საგნების უდიდესი უმრავლესობა ორიენტირებულია გამოუმუშავოს სტუდენტს პროფესიული ინგლისური ენის ტერმინოლოგიური ლექსიკის ცოდნა. ამას ხელს უწყობს როგორც სწავლების მთელ პროცესის მსვლელობისას პრაქტიკულ ენასა და ინგლისურენოვან ლიტერატურაზე მუშაობა, ისე სწავლების ბოლო მეშვიდე და მერვე სემესტრებში დაგეგმილი ინგლისურენოვანი თეორიული კურსების მოსმენა.

საბაკალავრო პროგრამის მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და სტრატეგიულ ხედვას - უზრუნველყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. ამერიკისმცოდნეობა, როგორც კომპლექსური დარგი იმ პრიორიტეტულ მიმართულებებს განეკუთვნება, რომლებშიც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი შეძლებს წამყვანი პოზიციის დაკავებას რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით.

სავალდებულო დისციპლიების გვერდით არსებული არჩევითი საგნების მრავალფეროვნება, აძლევს საშუალებას სტუდენტს გაიღმავოს საკუთარი ინტერესების სფერო ამერიკული ცხოვრების სხვადასხვა განზომილებების შესწავლის გზით. მას შეუძლია თემატური კონცენტრაციით ააგოს საკუთარი სასწავლო გეგმის დიზაინი სხვადასხვა მიმართულებებიდან, ისეთიდან როგორიცაა: ისტორია და დიპლომატია, ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია, პოლიტიკური მეცნიერებები, კომუნიკაცია, ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, თუ მითოლოგია, და სხვ. სტუდენტები დაასრულებენ პროგრამას კვლევითი პროექტით-საბაკალავრო ნაშრომით. კვლევითი შრომის თემატური კონცენტრაცია შესაძლებელია ფოკუსირდეს მრავალფეროვანი დისციპლინების კლასტერიდან. კონცენტრაციების მაგალითებად დავასახელებთ: რასობრივობა და ამერიკული ცხოვრების წესი, ხელოვნება და კულტურა მეცხრამეტე საუკუნის ამერიკაში, პრაგმატიზმი ამერიკულ კულტურასა და საზოგადოებაში, ამერიკის კონტინენტზე მოსახლე უძველესი ცივილიზაციები და თანამედროვე ამერიკა, რელიგია ამერიკულ ცხოვრებაში, ადამიანის უფლებები და სამოქალაქო უფლებები ამერიკაში, ხელოვანის ბედი ამერიკულ საზოგადოებაში, და სხვ.

სტუდენტი შეიძენს ამერიკული იდეების/კონცეფციების, ამერიკული ინტეგრაციის, ამერიკული ინსტიტუტებისა და ამერიკული აზროვნებისა და ფასეულობების საწყისებში გარკვევის, გაგებისა და გაშუქებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რაც დაეხმარება იმ ზედაპირული და ხშირ შემთხვევაში უარყოფითი სტერეოტიპების დარღვევაში, რომლებიც მასიურ ცნობიერებაშია ჩამოყალიბებული.

ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა მოწოდებულია ხელი შეუწყოს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებას; იგი სრულადაა ორიენტირებული სტუდენტზე, მისი პარადიგმა იმგვარადაა აგებული, რომ ამერიკული კულტურით, საზოგადოებითა და ისტორიით დაინტერესებულ სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა გამოიყენოს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა, გამოცდილება და ინტერდისციპლინურ გარემოში მუშაობის უნარები (პრობლემების გააზრებისა და ინტერპრეტაციის, შეკითხვების დასმის, დისკუსიის, პასუხის გაცემის და სხვ.) ქართულ საზოგადოებაში; კურსდამთავრებული შესძლებს დაიკავოს სხვადასხვა საკარიერო პოზიციები. ამერიკისმცოდნეები, ფართო ერუდიციის მქონე ექსპერტები, პოლიტიკისა და დიპლომატიის, ისტორიისა და კულტურის მცოდნე სპეციალისტები, კურატორები, კოორდინატორები, საზოგადოებრივ ურთიერთობათა კოორდინატორები, ტრენინგ-კოორდინატორები, მენეჯერები, ახალგაზრდულ პროგრამათა მენეჯერები, თარჯიმანები ესაჭიროება ქართულ სამთავრობო, თუ/და არასამთავრობო სექტორს, ამერიკულ-ქართული კომპანიებს, ფონდებსა და ორგანიზაციებს, ამერიკისა და საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, კულტურულ და მთარგმნელობითი ცენტრებს ,ბიბლიოთეკებსა და გამომცემლობებს, მასმედიას. მრავალი ორგანიზაცია დაინტერესებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში, ხელოვნების მენეჯმენტისა და ტურიზმის მიმართულებით დაასაქმოს პროგრამის

კურსდამთავრებული. კომუნიკაციის სფერო გახლავთ პოტენციური დასაქმების კიდევ ერთი არეალი.

წარმოდგენილი პროგრამა თავისი არსით ინტერდისციპლინარული და დარგთაშორისია, ეს სპეციფიკა ასახულია მის კურიკულუმში: საგნები მოტანილია როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამებიდან, ისე სხვა ფაკულტეტების კურიკულუმებიდან.
ამავდროულად უნდა ითქვას, რომ გათვალისწინებულია უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება და პროგრამის კურიკულუმი აგებულია იმგვარად, რომ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შემთხვევაში სტუდენტებს არ შეექმნათ პრობლემა თავსებადი საგნების არჩევისას. საგნების ჩამონათვალში ყველა საგანი არის ხუთკრედიტიანი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ერთიანი ეროვნული გამოცდები.

ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი ტესტის შედეგი, რომელიც 61 ქულაზე ნაკლები არ უნდა იყოს. ტესტი ტარდება ენათა ცენტრის მიერ, მსურველთათვის სპეციალურად დანიშნულ გამოცდაზე.

სწავლის შედეგები: ამერიკისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამით მომზადებული ბაკალავრი ერუდირებული სპეციალისტია, მიღებული აქვს დარგის შესაბამისი ფართო და ზოგადი განათლება სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში; ასევე მას შეუძლია დარგობრივ მონაცემთა ინტერპრეტირება და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა. ბაკალავრს აქვს კარგი პრაქტიკული მომზადება, გააჩნია დარგობრივი კომპეტენციები და შეუძლია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ასევე მას შეძენილი აქვს ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის.

- **ცოდნა და გაცნობიერება:**

		სასწავლო დისციპლინები:
1.1	ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები, კონცეპტები და მეთოდები, ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკისა და ლოგიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები.	**ფილოსოფიის შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.2	საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები, ფაქტები და მოვლენები მსოფლიოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში.	**საქართველოს ისტორია** (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.3	აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები.	**აკადემიური წერა** (საფაკულტეტო სავალდებულო)

1.4	რომელიმე სხვა (არამაპროფილებელი) სპეციალობის საფუძვლები, ძირითადი თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები (არჩევით).	**საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი**
1.5	ძირითადი ენათმეცნიერული თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები.	**ენათმეცნიერების შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.6	ინგლისური ენა საშუალო (B1) ან საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე; არჩევის შემთხვევაში რომელიმე სხვა ევროპული ენა მინიმუმ A2 დონეზე.	**ინგლისური ენა** (საფაკულტეტო სავალდებულო); **რომელიმე სხვა ევროპული ენა** (საფაკულტეტო ევროპული ენა ; არჩევით)
1.7	ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის საბაზისო კურსი (არჩევით)	ერთ–ერთი **კლასიკური** ან **აღმოსავლური ენა** (არჩევით)
1.8	ამერიკისმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა;	**ამერიკისმცოდნეობის შესავალი** (არჩევითი);
1.9	ინგლისური ენის სტრუქტურაზე (ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი), აგრეთვე ლექსიკოლოგიის ზოგად მახასიათებლებზე წარმოდგენა, საერთო ნიშნების ცოდნა (აქცენტირება ამერიკულ-ინგლისურ ენაზე).	**ინგლისური ენა 1, 2, 3, 4, 5,** ამერიკისმცოდნეობისათვის((სავალდებულო); **ენათმეცნიერების შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.10	სპეციალობის მაპროფილებელ ინგლისურ ენაში ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენის ცოდნის დონეთა განმსაზღვრელი დოკუმენტის "The Common European Framework in its political and educational context" მიხედვით B2 დონის შესაბამისი ცოდნის ფლობა (დამოუკიდებელი მოსაუბრე დარგობრივ სფეროში), რაც გულისხმობს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას (წერა, კითხვა, მოსმენა, ზეპირმეტყველება) ამ	**ინგლისური ენა 1, 2, 3, 4, 5** ამერიკისმცოდნეობისათვის (სავალდებულო); **სპეც სემინარი 1930-იანი და 1950-იანი წლების ამერიკა აუთენტურ ენობრივ წყაროებში"** (არჩევითი), "**დღესასწაულები აშშ-ში"** (არჩევითი)

	დონის შესაბამისად; ცალკეული ენობრივი ასპექტების დაუფლებას (ლექსიკა, გრამატიკა, მართლწერა); ათვისებული ლექსიკური მარაგის მაქსიმალურად თავისუფლად გამოყენების უნარს სხვადასხვა თემატიკაზე ინგლისურენოვანი ტექსტების (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული, საგანმანათლებლო) გაცნობა/გაცნობიერებისთვის, ასევე საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას; წერილობითი ფორმით აზრის გამოთქმის პროცესში. ბრიტანული და ამერიკული ენების განსხვავებათა ნიუანსების მოხელთება, თანამედროვე სლენგის დაწყებითი პრაქტიკული ცოდნის შეძენა, რომელიც უზრუნველყოფს მათ ადაპტაციას ამერიკულ გარემოში, კერძოდ, კონტაქტის დამყარებას იმ ადამიანებთან, რომლებმაც არ იციან თანამედროვე სალიტერატურო ენა.	
1.11	აშშ-ისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორიისა და კულტურის ზოგადი კურსის ცოდნა; ამერიკელთა წვლილი მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში; ამერიკის ქვეყნების ისტორიოგრაფიის საბაზისო ცოდნა; ამერიკის ხალხთა მითოლოგიისა და ეთნოლოგიის ცოდნა, ამერიკელთა ადგილისა და როლის გააზრების უნარი ევროპისა და ზოგადად მსოფლიო ისტორიის კონტექსტში.	**აშშ ისტორია** (1788წლამდე), (სავალდებულო); **აშშ-ი XX საუკუნის ისტორია** (სავალდებულო); **ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორია** (სავალდებულო); **რასიზმი და მრავალეროვანი ამერიკა** (არჩევითი), **ამერიკული ფილოსოფია** (სავალდებულო) **აშშ-ის კულტურის ისტორია** (სავალდებულო); **ამერიკის ხალხთა მითოლოგია** (არჩევითი), **ამერიკის ხალხთა ეთნოლოგია** (არჩევითი)
1.12	ამერიკა-საქართველოს ურთიერთობების საბაზისო ცოდნა; ამერიკული ფაქტორის გათვალისწინების უნარი ამ ურთიერთობებში;	**აშშ-ის XX საუკუნის ისტორია** (სავალდებულო); **ამერიკისმცოდნეობის შესავალი** (არჩევითი); **აშშ-ის კულტურის ისტორია** (სავალდებულო); **საქართველოს ისტორია** (საფაკულტეტო სავალდებულო), **ქართულ–ამერიკულ**

		ურთიერთობათა ისტორია (არჩევითი)
1.13	აშშ–ის ლიტერატურის ისტორიის ზოგადი კურსის ცოდნა კოლონიზაციის პერიოდიდან მოყოლებული თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის ჩათვლით. ამერიკული ლიტერატურული ნიმუშების ორიგინალში კითხვა-თარგმნისა და მათ ენობრივ სირთულეებში გარკვევის დაწყებითი უნარ-ჩვევების გამომუშავება. მხატვრული ტექსტის ესთეტიკურ-შემეცნებითი ინფორმაციის ადეკვატური გაგება, რაც ეფუძნება ენის გამომსახველობითი საშუალებებისა და სტილისტური ხერხების თეორიულ ცოდნას და მათი ოპერირების პრაქტიკულ უნარს.	**XIX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა** (სავალდებულო); **XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა-** (სავალდებულო); **სპეც სემინარი "1930–იანი და 1950-იანი წლების ამერიკა აუთენტურ ენობრივ წყაროებში"** (არჩევითი)
1.14	ამერიკული იდენტობისა და თვითმყოფადობის ცოდნა, ამერიკული პოსტინდუსტრიული საზოგადოების თავისებურებების გაცნობიერება და ამერიკული დემოკრატიის როლი მსოფლიო პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაში, აშშ-ის ინტეგრაციის იდეებისა და კონცეფციების ცოდნა.	**ამერიკული პრაგმატიზმი**(არჩევითი); **ამერიკული თვითმყოფადობა** (არჩევითი); **ამერიკული პოსტინდუსტრიული საზოგადოება** (არჩევითი); **აშშ-ის უსაფრთხოების პოლიტიკა** (არჩევითი) **ამერიკისმცოდნეობის შესავალი** (არჩევითი); **სპეც. სემინარი ალექსის დე ტოკვილი: „ამერიკული დემოკრატია"** არჩევითი)
1.15	თანამედროვე ამერიკაში მიმდინარე ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე წარმოდგენა. რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გაცნობიერება; ამერიკული პოლიტიკური აზრისა და მმართველობის სისტემის ცოდნა, დემოკრატიის პრინციპებისა და თანამედროვე ამერიკული დიპლომატიის საფუძვლების ცოდნა.	**აშშ-ის სახელმწიფო მართვის სისტემა** (სავალდებულო); **ამერიკული პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური აზრი(არჩევითი); აშშ-ის უსაფრთხოების პოლიტიკა**(არჩევითი) **აშშ-ის ეკონომიკის საფუძვლები** (სავალდებულო), **აშშ-ის დიპლომატია XX საუკუნეში, სპეც. სემინარი ალექსის დე ტოკვილი: „ამერიკული დემოკრატია"-** (არჩევითი);**ამერიკისმცოდნეობის შესავალი** (არჩევითი);

- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:**

2.1	ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური	**ფილოსოფიის შესავალი**

	და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების გამოტანა და ფილოსოფიური ცნებებით ოპერირება.	(საფაკულტეტო სავალდებულო)
2.2	ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება /არგუმენტირება, მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა.	**აკადემიური წერა** (საფაკულტეტო სავალდებულო)
2.3	საშუალო ან საშუალოზე მაღალი სირთულის ტექსტის წაკითხვა და შექმნა **ინგლისურ ენაზე.** ერთ–ერთი სხვა ევროპული ენის (არჩევის შემთხვევაში) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის.	**ინგლისური ენა** (საფაკულტეტო სავალდებულო); **რომელიმე სხვა ევროპული ენა** (საფაკულტეტო ევროპული ენა,არჩევით);
2.4	ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის (არჩევით) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის.	ერთ–ერთი **კლასიკური** ან **აღმოსავლური ენა** (არჩევით)
2.5	ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და ანალიზი.	**საფაკულტეტო არჩევითი შესავალი კურსი**
2.6	ძირითადი ენათმეცნიერული მეთოდების გამოყენება ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განსახორციელებლად.	**ენათმეცნიერების შესავალი** (საფაკულტეტო სავალდებულო)
2.7	ინგლისური ენის პრაქტიკული გამოყენება წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები. ინგლისურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი. პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში ენის ეფექტურად გამოყენების უნარი; საკუთარი აზრის	**ინგლისური ენა 1, 2, 3, 4, 5,** (სავალდებულო);**სპეც სემინარი "1930–იანი და 1950-იანი წლების ამერიკა აუთენტურ ენობრივ წყაროებში"** (არჩევითი), "**დღესასწაულები აშშ-ში"**(არჩევითი)

	თავისუფლად გამოხატვის, ნათლად, სტრუქტურირებულად ჩამოყალიბების, არგუმენტირებისა და განმარტებების გარკვევით გადმოცემის უნარი; ინგლისური ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების, მათ შორის, ეტიმოლოგიური ლექსიკონების, გამოყენების უნარი.	
2.8	პოლიტიკური პროცესების ანალიზის უნარი, პოლიტიკური ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და თანამედროვე კონტექსტში განხილვის უნარი.	**აშშ-ის XX საუკუნის ისტორია** (სავალდებულო);**ამერიკული პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური აზრი(არჩევითი); აშშ უსაფრთხოების პოლიტიკა**(არჩევითი) **აშშ-ის დიპლომატია XX საუკუნეში, სპეც. სემინარი ალექსის დე ტოკვილი: „ამერიკული დემოკრატია“-** (არჩევითი); **ამერიკისმცოდნეობის შესავალი** (არჩევითი);
2.9	ამერიკული იდენტობის, ინსტიტუტებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესების გაგება და დემონსტრირება.	**აშშ სახელმწიფო მართვის სისტემა** (სავალდებულო);**ამერიკული პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური აზრი**(არჩევითი) **ამერიკული თვითმყოფადობა**(არჩევითი); **ამერიკული პოსტინდუსტრიული საზოგადოება** (არჩევითი);
2.10	პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი. კონკრეტული, ვიწრო დარგობლივი მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურის თეორიისა და ისტორიულ-ფილოსოფიურ-კულტუროლოგიური მონაცემების კონტექსტში. ლინგვისტური, ლიტერატურული და ისტორიული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი. ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის უნარი.	**ამერიკისმცოდნეობის შესავალი** (არჩევითი); **ინგლისური ენა 1, 2, 3, 4, 5** (ძირითადი); **ენათმეცნიერების შესავალი** (სავალდებულო საფაკულტეტო); **აშშ-ის XX საუკუნის ისტორია** (სავალდებულო); **ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორია** (სავალდებულო); **X1X საუკუნის ამერიკული ლიტერატურა** (სავალდებულო); **XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა** (სავალდებულო); **ამერიკული ფილოსოფია** (სავალდებულო); **ამერიკული პრაგმატიზმი** (არჩევითი); **ქართულ–ამერიკულ ურთიერთობათა ისტორია**(არჩევითი)

		და პროგრამის სხვა არჩევითი საგნები.

გ) დასკვნის უნარი:
სწავლის პროცესში საჭირო მასალის მოპოვების, მათი ინტერპრეტაციის და განმარტების უნარი. მხარეთმცოდნეობითი მეთოდოლოგიების გამოყენების უნარი,. არგუმენტირების უნარი, მასალის ანალიზისა და კლასიფიკაციის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებისა და აბსტრაგირების უნარი, ანალიზის და გადმოსაცემი არგუმენტების ჩამოყალიბებისა და ლოგიკური შეცდომების დადგენის, კონკრეტულიდან ზოგადზე გადასვლის უნარი.

დ) კომუნიკაციის უნარი:
სტუდენტს შეუძლია ინგლისურის როგორც სამუშაო ენის გამოყენება, იგი თავისუფლად ისაუბრებს სხვადასხვა თემებზე და სხვადასხვა სიტუაციაში.
თემატური ლექსიკის აქტიური ათვისების ფონზე აქვს სასაუბრო ჩვევები, აქვს ინფორმაციის კონცეპტუალური სახით ჩამოყალიბებისა და გადაცემის უნარი; საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების უნარი, კულტურათა დიალოგში ჩართვის, დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობის უნარი; ფლობს წერითი და ზეპირი პრეზენტაციის უნარებს. აქვს ინტერპერსონალური და ჯგუფური მუშაობის უნარები.

ე) სწავლის უნარი:
სტუდენტს ათვისებული აქვს დარგის სწავლების პროცესის, საკუთარი საჭიროებების, ამოცანებისა და პერსპექტივების სისტემატური შეფასების უნარი, იგი ფლობს სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძვლებს, აქვს სხვადასხვა სახის წყაროების მოპოვების, მათი დამუშავების უნარები, შემოქმედებითი, თვითკრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, დროისა და შრომის ორგანიზების უნარი; საკუთარი თავის მოტივირების უნარი, აქვს ფაქტობრივი მასალის ანალიზისა და პრობლემის ამოცნობის უნარი.

ვ) ღირებულებები:
შეუძლია ღირებულებით ორიენტაციებში გარკვევა, ზოგადსაკაცობრიო და დემოკრატული ღირებულებების დამკვიდრების პროცესის ხელშეწყობა, ცოდნა იმისა, თუ რა არის მოვალეობა, თავისუფლება, ჭეშმარიტება, პასუხისმგებლობა, აქვს საპირისპირო აზრის პატივისცემის უნარი; ტოლერანტულია, განხილვის კრიტიკულ მომენტში, აქვს საკუთარი პოზიციის დაცვის, არგუ-მენტების აუღელვებლად მოყვანის უნარი შეურაცხყოფისა და წყენის მიყენების გარეშე.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა – განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დასაქმების სფეროები ამერიკისმცოდნეობის სპეციალობის მქონე ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს შემდეგ სფეროებში:

- კულტურული და მთარგმნელობითი ცენტრები,
- ამერიკულ-ქართული კომპანიები, ფონდები და ორგანიზაციები,
- ამერიკისა და საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები,
- ბიბლიოთეკები,
- გამომცემლობები, მასმედია.
- ტურისტული ცენტრები,
- მუზეუმები და გალერეები.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორები ვასილ კაჭარავა, ანასტასია ზაქარიაძე
დამატებითი ინფორმაცია:

- ძირითადი სპეციალობის არჩევა სასურველია სწავლების მესამე სემესტრიდან.
- საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ეძლევა რეკომენდაცია გაიაროს შესავალი კურსი ამერიკისმცოდნეობაში.
- ამერიკისმცოდნეობის ძირითადი პროგრამის კომბინირება შესაძლებელია ისტორიის, ესპანური ფილოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის დამატებით პროგრამებთან, ასევე შესაძლებლად მიგვაჩნია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დამატებით პროგრამებთან კომბინირება.
- პროგრამას შეუძლია 250–300 სტუდენტის მომსახურება.

სწავლის გაგრძელების საშუალება: ამერიკისმცოდნეობის სპეციალობით ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ სტუდენტს შეეძლება სწავლის გაგრძელება მაგისტრატურაში ამერიკისმცოდნეობის სპეციალობის სამაგისტრო პროგრამით.
ამასთან, პროგრამის მულტიდისციპლინური ხასიათი მას უვითარებს იმ რიგის უნარებს, რომელნიც მას საშუალებას აძლევს, სურვილის შემთხვევაში, სწავლა გააგრძელოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სპეციალობის პროგრამებზე (სპეციალობათა ჩამონათვალს განსაზღვრავს კონკრეტული სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი).

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური

რესურსების შესახებ:
პროგრამის განხორციელებაში ჩართულები არიან თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და სხვა ფაკულტეტების პროფესორები:

ასოცირებული პროფესორები ვასილ კაჭარავა, ელენე მემმარიაშვილი, ასისტენტ პროფესორი გიორგი კლდიაშვილი, ასოცირებული პროფესორები ანასტასია ზაქარიაძე, ვალერიან რამიშვილი, ირაკლი ბრაჭული, ენების ცენტრის მასწავლებელი ქეთევან ანთელავა, ასევე პროფესორები: ქეთევან ხუციშვილი, როლანდ თოფჩიშვილი, ელენე გოგიაშვილი, გიორგი ხოშტარია, მერაბ კალანდაძე, გუგული მაღრაძე, გიორგი პაპუაშვილი, გიორგი ყუფარაძე, სოფიო ჩხვიმიანი, ირინე მირიჯანიშვილი.
მოწვეული პროფესორები: თემურ კობახიძე, დავით აფციაური, ქეთევან როსტიაშვილი.
ენების ცენტრი უზრუნველყოფს ინგლისური ენის(ამერიკისმცოდნეობისთვის) სწავლებას.
პროგრამას კონსულტაცია უწევს რატგერსის უნივერსიტეტის (აშშ) ამერიკისმცოდნეობის დეპარტამენტის პროფესორი **მაიკლ როკლენდი.**

ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:

პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრის, თსუ-სა და საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებებისა თუ კერძო კოლექციების ბაზაზე; თსუ ამერიკის შესწავლის ცენტრს აქვს 6 კომპიუტერი, 1 პროექტორი, ქენონის კომბაინი, სკანერი, ტელევიზორი, მუსიკალური ცენტრი, DVD ფლეიერი, ვიდეომაგნიტოფონი, პროექტორის გასაშვები ეკრანი, 40 სკამი და 11 მაგიდა, ინტერნეტი, მდიდარი ვიდეო და აუდიოთეკა(შესაბამისად 110-119 ერთეული), წიგნადი ფონდი, რომელიც მოითვლის 5000 დასახელების სახელმძღვანელოს, მონოგრაფიას, ლექსიკონებს, ენციკლოპედიებსა და სხვ. სასწავლო ლიტერატურას.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **ამერიკისმცოდნეობის** საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ–მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ამერიკისმცოდნეობა/American Studies

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 ESTC კრედიტი
პროგრამაში კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად:
ძირითადი კურსებისათვის განკუთვნილია 40 ECTS კრედიტი
არჩევითი კურსებისათვის– 20 ECTS კრედიტი

სწავლების ენა: ქართული ენა

პროგრამის მიზანი:
დამატებითი პროგრამა მიზნად ისახავს ზოგად და ნაკლებად სპეციალიზირებული ხასიათის საბაზისო ცოდნის შეძენას ამრიკისმცოდნეობაში.
პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეიძენს ამერიკის ისტორიის, ამერიკული ლიტერატურის, ფილოსოფიის, კულტურის ისტორიის, ეკონომიკის, და სხვ., ძირითადი პრობლემების დასმის, განხილვისა და გადაწყვეტის ზოგადი მეთოდების ცოდნას. ამასთან, სტუდენტი შეიძენს ამერიკული აზროვნებისა და ფასეულობების საწყისებში გარკვევის, გაგებისა და გაშუქებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს, წარმოდგენილი პროგრამა თავისი არსით ინტერდისციპლინარული და დარგთაშორისია, ეს სპეციფიკა ასახულია მის კურიკულუმში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ჩარიცხვა მოხდება წინასწარი ტესტირებისა და გასაუბრების შემდეგ, მსურველს უნდა ჰქონდეს (ინგლისური ენის დონე B1+ ცოდნა), ან წარმოადგინოს შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

სწავლის შედეგი:
ა) ცოდნა და გაცნობიერება.
ამერიკისმცოდნეობის მიმართულების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული იღებს საბაზისო ცოდნას ამერიკის შეერთებული შტატების ლიტერატურის, ისტორიის, პოლიტიკისა და დიპლომატიის, აშშ კულტურისა ხელოვნების შესახებ, აქვს ამერიკული ფილოსოფიისა და ეკონომიკის ბაზისური საფუძვლების ცოდნა, ფლობს ამერიკულ ინგლისურს (ენის ცოდნის დონეა B2), აქვს ზოგადი წარმოდგენა ლათინური ამერიკის კულტურის ფენომენზე, ფლობს კითხვის სხვადასხვა სტრატეგიებს.

ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:
სტუდენტს შეუძლია ინგლისურენოვანი ტექსტის გაგება და გააზრება, მიღებული ინფორმაციის გადმოცემა და შემდგომი დამუშავება და გამოყენება,
აქვს ამერიკისა და ამერიკული ყოფის, ამერიკის ისტორიის, თანამედროვეობისა თუ წარსულის ათვისების უნარი. შეუძლია სპეციფიკური ტერმინოლოგიური აპარატის ადექვატური გამოყენება შესაბამის კონტექსტში. აქვს ინტერდისციპლინურ გარემოში მუშაობის უნარი.

გ) დასკვნის უნარი:
სწავლის პროცესში საჭირო მასალის მოპოვების, მათი ინტერპრეტაციის და განმარტების უნარი. მხარეთმცოდნეობითი მეთოდოლოგიების გამოყენების უნარი,. არგუმენტირების უნარი, მასალის ანალიზისა და კლასიფიკაციის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებისა და აბსტრაგირების უნარი, ანალიზის და გადმოსაცემი არგუმენტების ჩამოყალიბებისა და ლოგიკური შეცდომების დადგენის, კონკრეტულიდან ზოგადზე გადასვლის უნარი.

დ) კომუნიკაციის უნარი:
სტუდენტს შეუძლია ინგლისურის როგორც სამუშაო ენის გამოიყენება,

აქვს სასაუბრო ჩვევები, აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების, როგორც საკომუნიკაციო და სასწავლო ინსტრუმენტების გამოყენების უნარი, დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობის უნარი; ფლობს წერითი და ზეპირი პრეზენტაციის უნარებს. აქვს ინტერპერსონალური და ჯგუფური მუშაობის უნარები.

ე) სწავლის უნარი

სტუდენტს ათვისებული სხვადასხვა სახის წყაროების მოპოვების, ფაქტობრივი მასალის ანალიზისა და დამუშავების უნარები, აქვს დროისა და შრომის ორგანიზების უნარი; შეუძლია საკუთარი თავის მოტივირება.

ვ) ღირებულებები:

კურსდამთავრებულს შეუძლია ღირებულებით ორიენტაციებში გარკვევა, აქვს საპირისპირო აზრის პატივისცემის უნარი; ტოლერანტულია, განხილვის კრიტიკულ მომენტში შეუძლია აუღელვებლად მოისმინოს დისკუსიაში მონაწილე ყველა განსხვავებული პოზიციის მოსაზრება და დაიცვას საკუთარი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა –განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა და სხვ.)

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 –ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი,C; 61-70–დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სასწავლო გეგმა: იხ. დანართი № 1

სილაბუსები: იხ. დანართი № 2

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ვასილ კაჭარავა, ანასტასია ზაქარიაძე

დამატებითი ინფორმაცია: დამატებითი პროგრამა“ამერიკისმცოდნეობაში“სტუდენტმა შესაძლებელია აირჩიოს სწავლების მესამე, ან მეოთხე სემესტრიდან.

რეკომენდაციის სახით წარმოვადგენთ იმ ძირითადი პროგრამების კომბინაციებს, რომელთა სტუდენტისათვის ამერიკისმცოდნეობის დამატებითი პროგრამის დაუფლება მომგებიანი იქნება როგორც პროფესიულად, ისე დასაქმების თვალსაზრისით:

ინგლისური ფილოლოგია
ესპანური ფილოლოგია
ფილოსოფია
ხელოვნებათმცოდნეობა

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტი**
სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **ამერიკისმცოდნეობა**
სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი (240 კრედიტი)**
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი / კოორდინატორი: **ასოცირებული პროფესორი ვასილ კაჭარავა, ანასტასია ზაქარიაძე**
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011**
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2011-2012 სასწავლო წელი**

პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები / მოდულები													
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS)													
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სემინარი / ჯგუფი / პრაქტიკუმი	ლექცია–პრაქტიკუმებისათვის მომზადება	შუალედური გამოცდის/გამოცდების მომზადება	დასკვნითი გამოცდის მომზადება			შემოდგომა	გაზაფხული	
	ენათმეცნიერების შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	აკადემიური წერა	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	ფილოსოფიის შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	საქართველოს ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	

საფაკულტეტო არჩევითი კურსები (ევროპული ენები) – 10 კრედიტი (ECTS)												
	ინგლისური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ინგლისური ენა A1.1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A1.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A2.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა A2.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B1.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B1.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B2.1	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა B2.2	5		60	45	8	10	2	ინგლისური ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	გერმანული ენა A1.1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A1.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A2.1	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა A2.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B1.1	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B1.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B2.1	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	გერმანული ენა B2.2	5		60	45	8	10	2	გერმანული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ფრანგული ენა A1.1			60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა A1.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა A2.1	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა A2.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი

	ფრანგული ენა B1.1	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B1.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B2.1	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ფრანგული ენა B2.2	5		60	45	8	10	2	ფრანგული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ესპანური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ესპანური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ესპანური ენა 2	5		60	45	8	10	2	ესპანური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	იტალიური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	იტალიური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	იტალიური ენა 2	5		60	45	8	10	2	იტალიური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	რუსული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	რუსული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	რუსული ენა 2	5		60	45	8	10	2	რუსული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი ბერძნული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ახალი ბერძნული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი ბერძნული ენა 2	5		60	45	8	10	2	ახალი ბერძნული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	შვედური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	შვედური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	შვედური ენა 2	5		60	45	8	10	2	შვედური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ნორვეგიული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ნორვეგიული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ნორვეგიული ენა 2	5		60	45	8	10	2	ნორვეგიული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	პოლონური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	პოლონური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	პოლონური ენა 2	5		60	45	8	10	2	პოლონური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა	**10**										

	(არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის)											
	ქართული ენა A1.1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა A1.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა A2.1	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა A2.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B1.1	5		60	45	8	10	2	ქართული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B1.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B2.1	5		60	45	8	10	2	ქართული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ქართული ენა B2.2	5		60	45	8	10	2	ქართული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (კლასიკური ან აღმოსავლური ენა) – 10 კრედიტი (ECTS)												
	ძველი ბერძნული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ძველი ბერძნული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ძველი ბერძნული ენა 2	5		60	45	8	10	2	ძველი ბერძნული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ლათინური ენა(საფაკულტეტო)	**10**										
	ლათინური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ლათინური ენა 2	5		60	45	8	10	2	ლათინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	არაბული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	არაბული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	არაბული ენა 2	5		60	45	8	10	2	არაბული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	სპარსული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	სპარსული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	სპარსული ენა 2	5		60	45	8	10	2	სპარსული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა(საფაკულტეტო)	**10**										
	თურქული ენა1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	თურქული ენა2	5		60	45	8	10	2	თურქული ენა1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი

	ებრაული ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ებრაული ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ებრაული ენა 2	5		60	45	8	10	2	ებრაული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	იაპონური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	იაპონური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	იაპონური ენა 2	5		60	45	8	10	2	იაპონური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ჩინური ენა (საფაკულტეტო)	**10**										
	ჩინური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ჩინური ენა 2	5		60	45	8	10	2	ჩინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი სომხური ენა 1(საფაკულტეტო)	**10**										
	ახალი სომხური ენა 1	5		60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ახალი სომხური ენა 2	5		60	45	8	10	2	ახალი სომხური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (შესავალი კურსები) – 10 კრედიტი (ECTS)												
	შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ირმა რატიანი
	შესავალი ისტორიის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	შესავალი არქეოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ეთნოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი კულტურის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ხელოვნებათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი კავკასიოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი რომანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		

	შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ბიზანტიურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ახალ ბერძნულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი სლავურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ამერიკისმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი პედაგოგიკაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
სპეციალობის სავალდებულო კურსები – 80 კრედიტი (ECTS)												
	ინგლისური ენა (ამერიკისმცოდნეობისათვის) I	5	30	60	25	3	5	2	შესავალი ამერიკისმცოდნეობაში		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა (ამერიკისმცოდნეობისათვის) II	5	30	60	22	6	5	2	ინგლისური ენა (ამერიკისმცოდნეობისათვის) I	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა (ამერიკისმცოდნეობისათვის) III	5	30	60	22	6	5	2	ინგლისური ენა (ამერიკისმცოდნეობისათვის)II		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა (ამერიკისმცოდნეობისათვის) IV	5	30	60	22	6	5	2	ინგლისური ენა III (ამერიკისმცოდნეობისათვის) ინგლისური ენა B1.1 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა (ამერიკისმცოდნეობისათვის) V	5	30	60	22	6	5	2	ინგლისური ენა (ამერიკისმცოდნეობისათვის)IV		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	აშშ ისტორია (1877 წლამდე)	5	30	30	30	4	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ვასილ კაჭარავა
	აშშ-ს XX საუკუნის ისტორია	5	30	30	30	4	9	3	აშშ ისტორია (1877 წლამდე)		✓	ვასილ კაჭარავა/გიორგი კლდიაშვილი
	XIX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა	5	30	30	30	4	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ელენე გაუნია
	XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა	5	30	30	30	4	9	3	XIX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა; ინგლისური ენა (ამერიკისმცოდნეობისათვის) 4		✓	თემურ კობახიძე
	ამერიკული ფილოსოფია	5	30	30	30	4	9	3	ფილოსოფიის შესავალი		✓	ანასტასია ზაქარიაძე
	აშშ კულტურის ისტორია	5	30	30	30	4	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ვასილ კაჭარავა

	აშშ ეკონომიკის საფუძვლები	5	30	30	30	4	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	დავით აფციაური
	აშშ სახელმწიფო მართვის სისტემა (ინგლისურ ენაზე)	5	30	30	30	4	9	3	ინგლისური ენა (ამერიკისმცოდნეობისათვის) 4		✓	ქეთი როსტიაშვილი
	ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ელენე მეძმარიაშვილი
	საბაკალავრო ნაშრომი	10									✓	
სპეციალობის არჩევითი კურსები – 40 კრედიტი (ECTS)												
	სპეც სემინარი“30– და 50 წლების ამერიკა აუთენტურ ენობრივ წყაროებში“ (ინგლისურ ენაზე)	5	15	30	60	8	9	3	ინგლისური ენა (ამერიკისმცოდნეობისათვის) 2 /ინგლისური ენა B1.2	✓		ქეთი ანთელავა
	აშშ უსაფრთხოების პოლიტიკა (ინგლისურ ენაზე)	5	30	15	60	8	9	3	ინგლისური ენა 5	✓		ქეთი როსტიაშვილი
	რასიზმი და მრავალეროვანი ამერიკა	5	15	30	60	8	9	3	აშშ-ს XX საუკუნის ისტორია	✓		ვასილ კაჭარავა/გიორგი კლდიაშვილი
	ქართულ–ამერიკულ ურთიერთობათა ისტორია	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ვასილ კაჭარავა/გიორგი კლდიაშვილი
	აშშ-ს დიპლომატია XX საუკუნეში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ელენე მეძმარიაშვილი/გიორგი კლდიაშვილი
	ამერიკული თვითმყოფადობა	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ვალერი რამიშვილი/ანასტასია ზაქარიაძე
	ამერიკული პრაგმატიზმი	5	15	30	60	8	9	3	ფილოსოფიის შესავალი; **ინგლისური ენა (საფაკულტეტო)**	✓		ანასტასია ზაქარიაძე
	ამერიკული პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოება	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ირაკლი ბრაჭული
	სპეც სემინარი“ალექსის დე ტოკვილი: „ამერიკული დემოკრატია“	5	15	30	60	8	9	3	ინგლისური ენა 4 (ამერიკისმცოდნეთათვის)		✓	ირაკლი ბრაჭული/ანასტასია ზაქარიაძე
	ამერიკული პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური აზრი	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ირაკლი ბრაჭული

	რეკომენდებული არჩევითი საგნები სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან											
	ინფორმაციული საზოგადოება და კომუნიკაციები	5										ვ.რამიშვილი
	ამერიკის ხალხთა მითოლოგია	5										ე. გოგიაშვილი
	ევროპა-ამერიკის ქვეყნების ახლი ისტორია _ (1550-1789	5										მ.კალანდაძე
	ევროპა-ამერიკის ქვეყნების ახლი ისტორია _ (1789-1914)	5										მ.კალანდაძე
	ევროპა-ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია _ (1914-1945)	5										მ.კალანდაძე
	ევროპა-ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია _ (1945-დღემდე)	5										მ.კალანდაძე
	დღესასწაულები აშშ–ში(ინგლისურ ენაზე)	5										გ. ყუფარაძე
	რელიგია თანამედროვე მსოფლიოში	5										ქ. ხუციშვილი
	ხელოვნების დეჰუმანიზაცია (აშშ და დასავლეთ-ევროპა. კომპარატივისტული ანალიზი)	5										გ.პაპუაშვილი
	დასავლეთ-ევროპისა და ამერიკის არქიტექტურა (XIX-XX)	5										ი.მირიჯანიშვილი
	შესავალი ლათინურ - ამერიკული ლიტერატურის ისტორიაში	5										ს. ჩხვიმიანი
	აშშ ხელოვნების ისტორია (ვიზუალური ხელოვნება)	5										გ. ხოშტარია
	კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა	5										გ. მაღრაძე
	ამერიკის ხალხთა ეთნოლოგია	5										რ. თოფჩიშვილი

თავისუფალი კრედიტები – 10 კრედიტი (ECTS)

სტუდენტს შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით აირჩიოს ორი საგანი სხვა საბაკალავრო პროგრამიდან ან ისწავლოს უცხო ენა.

დამატებითი პროგრამა: ამერიკისმცოდნეობა (60 ECTS კრედიტი)

სავალდებულო კურსები – 40 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემეტრი		ლექტორი/ლექტორები
	ინგლისური ენა (ამერიკისმცოდნეობისათვის) IV	5	30	60	22	6	5	2	ინგლისური ენა B1.1 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი
	ინგლისური ენა (ამერიკისმცოდნეობისათვის) V	5	30	60	22	6	5	2	ინგლისური ენა (ამერიკისმცოდნეობისათვის) IV		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი
	აშშ ისტორია (1877 წლამდე)	5	30	30	30	4	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ვასილ კაჭარავა
	აშშ-ს XX საუკუნის ისტორია	5	30	30	30	4	9	3	აშშ ისტორია (1877 წლამდე)		✓	ვასილ კაჭარავა/გიორგი კლდიაშვილი
	XIX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა	5	30	30	30	4	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ელენე გაბუნია
	XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა	5	30	30	30	4	9	3	XIX საუკუნის ამერიკული ლიტერატურაინგლისური ენა (ამერიკისმცოდნეობსათვის) 4		✓	თემურ კობახიძე
	ამერიკული ფილოსოფია	5	30	30	30	4	9	3	ფილოსოფიის შესავალი,		✓	ანასტასია ზაქარიაძე
	აშშ ეკონომიკის საფუძვლები	5	30	30	30	4	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	დავით აფციაური
არჩევითი კურსები – 20 კრედიტი (ECTS)												
	სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ძირითადი პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი საგნებიდან ნებისმიერი სასწავლო კურსი											

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი